



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

18

**ირანი და საქართველო - ურთიერთობების
დაახლოების პერსპექტივები**

ალექსანდრა რონდელი



ექსპერტის აზრი

2014



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ალექსანდრე რონდელი

**ირანი და საქართველო – ურთიერთობების
დაახლოების პერსპექტივები**

18

2014



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2014 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-6496-8

ირანი და სამხრეთი კავკასია

სამი რეგიონული სუპერსახელმწიფო – რუსეთი, თურქეთი და ირანი – სხვადასხვა „სტილითა“ და ინსტრუმენტით ცდილობს სამხრეთ კავკასიაში მომძლავრებას და გაბატონებასაც კი. რუსეთი შანტაჟსა და დაშინებას მიმართავს და სამხრეთ კავკასიის თითოეულ სახელმწიფოში ეკონომიკური და კულტურული საშუალებების განსხვავებულ „რეცეპტებს“ იყენებს, თურქეთი უფრო ეკონომიკურ ინსტრუმენტებს ეყრდნობა, ხოლო ირანი აქამდე ნაკლებ ამბიციებს ამჟღავნებდა და პოლიტიკურად ბოლო დროს გააქტიურდა, უმთავრესად – საქართველოსთან დაკავშირებით. როგორც რიჩარდ რუსო აღნიშნავს, რეგიონში დომინირებისთვის რუსეთი, ირანი და თურქეთი ორმხრივი „ეკონომიკური და სტრატეგიული პროექტების განვითარებით საერთო და სასიცოცხლო ინტერესების“ ჩამოყალიბებას ცდილობენ.¹

ირანი მნიშვნელოვანი რეგიონული სუპერსახელმწიფოა, რომელსაც საკმაო ამბიციები აქვს ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში, ავღანეთსა და პაკისტანში, თუმცა არა – სამხრეთ კავკასიაში. უდავოა, რომ ირანს უსაფრთხოების ინტერესები უფრო ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში, ასევე ავღანეთსა და პაკისტანში აქვს, ვიდრე სამხრეთ კავკასიაში, თუმცა ბოლო დროს სულ უფრო იკვეთება სამხრეთ კავკასიის მნიშვნელობა. სხვადასხვა მიზეზისა და, პირველ რიგში, აზერბაიჯანის გამო ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თეირანისთვის. ირანი აქამდე არ აქტიურობდა სამხრეთ კავკასიაში, მაგრამ ნელ-ნელა იზრდება რეგიონში მისი ეკონომიკური და პოლიტიკური საქმიანობა. როგორც ჩანს, თეირანს მიაჩნია, რომ რეგიონი მეტ ყურადღებასა და უფრო პროაქტიურ პოლიტიკას საჭიროებს, რათა შესაძლებელი იყოს სამხრეთ კავკასიიდან მომავალი საფრთხეების განეიტრალება და რეგიონში არასტაბილური უსაფრთხოების გარემოთი სარგებლობა.

როგორც თომას დე ვაალი ამბობს, „დასავლეთ სამყაროს ირანი თითქოს მოკვეთილი ჰყავს, მაგრამ ასე ვერ მოიქცევიან ირანის მეზობელი ქვეყნები, რომელთაც ამ დიდ და ძლიერ სახელმწიფოსთან ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობები აქვთ“.²

მიუხედავად იმისა, რომ ირანსა და რუსეთს სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებით მსგავსი დამოკიდებულებები აქვთ, მო-

ჰამედ-რეზა ჯალილი ამბობს, რომ „მოსკოვმა ისარგებლა ირანის იზოლაციით, პირველ რიგში რეგიონში გაიმყარა პოზიცია და ირანის ხარჯზე ზრუნავს საკუთარ ინტერესებზე“.³

ბევრი ირანელი სამხრეთ კავკასიის ნაწილს დაკარგულ ირანულ მიწად აღიქვამს. ირანის სასკოლო სახელმძღვანელოებში ასეთ წინადადებასაც კი შეხვდებით: „აღმოსავლეთი კავკასია, ანუ საქართველო, ირანს ეკუთვნოდა, მაგრამ ირანის შაჰები დასუსტდნენ და რუსეთის იმპერატორებმა მათ ეს მიწები წაართვეს“. თეირანში გამართული ერთ-ერთი მრგვალი მაგიდის დროს ირანელი სწავლულები საქართველოს „ირანული სახელმწიფოების კონფედერაციის“ ყოფილ წევრად მოიხსენიებდნენ. ირანელები აზერბაიჯანსაც დაკარგულ ირანულ მიწად მიიჩნევენ. სამხრეთ კავკასიაზე ირანელთა ასეთი ტრადიციული შეხედულების გათვალისწინებით სულაც არ არის გასაკვირი, რომ ირანი ძალიან მგრძობიარეა სამხრეთ კავკასიაში არარეგიონული აქტორების (ევროპელების, ამერიკელების) ქმედებების მიმართ. ამრიგად, უნდა მოველოდეთ ირანის ნეგატიურ რეაქციას სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ნებისმიერი მცდელობისას განავითარონ მჭიდრო ურთიერთობები, განსაკუთრებით უსაფრთხოების სფეროში, დასავლეთის ქვეყნებთან და კერძოდ, აშშ-სა და ისრაელთან. სწორედ ამიტომ ირანი საქართველოს, როგორც კორნელი კაკაჩია აღნიშნავს, აშშ-ის რეგიონული ინტერესების გამო „დასავლეთით მონამღულ“ რეჟიმად აღიქვამს.⁴

ირანი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ გრძნობს, რომ რუსეთი კვლავაც მთავარი მოთამაშეა რეგიონში. ამიტომ ირანი კიდევ უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენს, რომ რეგიონში რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ არ წავიდეს. ირანს აღიზიანებს თურქეთის მზარდი გავლენა სამხრეთ კავკასიაში, რადგან მოელის, რომ სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების გაუმჯობესებისა და ერევნის ე.წ. „დასავლური ვექტორის“ გაძლიერების შემთხვევაში თეირანს რეგიონზე ზემოქმედების ბევრად სუსტი ბერკეტი დარჩება. აღიქვამს რა აზერბაიჯანს, როგორც თავისთავად პრობლემას, უმთავრესად ირანში მრავლად მცხოვრები აზერბაიჯანელების მიმართ პოტენციური ირედენტიზმის გამო, თეირანს ასევე სერიოზულად აშფოთებს დასავლეთის ზეგავლენის ნელი, მაგრამ შესამჩნევი ზრდა სამხრეთ კავკასიაში. ის კმაყოფილი იქნებოდა, რეგიონის ქვეყნებში უფრო მძლავრი ანტიდასავლური განწყობები რომ დაენახა. ეს მუდმივად იგრძნობა ირანის ოფი-

ციალურ პირებთან და დიპლომატებთან საუბრისას, რომლებიც ყოველთვის იყენებენ შესაძლებლობას და ახსენებენ სამხრეთ კავკასიელებს, რომ ევროპელები და, განსაკუთრებით, ამერიკელები რეგიონისთვის „სტუმრები“ და „უცხოები“ არიან, რომ ისინი მოდიან და მიდიან, ირანი კი არის რეგიონული ძალა, უახლოესი მეზობელი და მეგობარი სახელმწიფო, რომელიც მზად არის დახმარების გასანევადა.

სომხეთსა და საქართველოს ორ რეგიონში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში – რუსეთის მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის განლაგება მოსკოვს დიდ უპირატესობას ანიჭებს თურქეთთან და ირანთან შედარებით. ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს სამხრეთ კავკასიაში გრძელვადიანი ინტერესების გამო ექიშვება. იგივე შეიძლება ითქვას მათ დამოკიდებულებაზე რუსეთის მიმართ, რომელიც კვლავ ცდილობს აღიდგინოს ბატონობა რეგიონში. არ შეიძლება არ დავეთანხმომთ სტივენ ლარაბისა და ალირეზა ნადერს იმაში, რომ კავკასიაში „რუსეთი მუდმივ ძალად რჩება და მისი პოლიტიკური გავლენა ბევრად აღემატება ირანისა და თურქეთის გავლენას“.⁵ ცხადია, ორივე – ირანიცა და თურქეთიც – საკმაოდ მგრძობიარეა რეგიონში ნებისმიერი არარეგიონული აქტორის მოქმედების მიმართ. ორ „სუპერსახელმწიფოს“ (რუსეთსა და ირანს) განსაკუთრებით ეშინია რეგიონში აშშ-ისა და ნატოს სამხედრო ძალის შესაძლო გამოჩენისა.

2008 წელს საქართველოში შემოჭრით, საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებით და კავკასიის მთების სამხრეთ ფერდობებზე სამხედრო ძალის გაძლიერებით რუსეთმა გეოპოლიტიკური ვითარება შეცვალა რეგიონში. რუსეთი, რომელიც ესწრაფვის სამხრეთ კავკასიაში დომინირების შენარჩუნებას, ხოლო ამ გეგმების განსახორციელებლად საქართველო საკვანძო ქვეყნად მიაჩნია, ცდილობს საქართველოში კულტურულ და ეკონომიკურ შეღწევას, რადგან საქართველოში 2012 წელს მომხდარ ხელისუფლების ცვლილებას, მთელ რეგიონზე თუ არა, სულ ცოტა, საქართველოზე საკუთარი გავლენის აღდგენის შესაძლებლობად ხედავს. ირანი არ იქნება კმაყოფილი საქართველოში რუსეთის გაბატონებით, თუმცა მისთვის საქართველოში რუსეთის ყოფნა უფრო მისაღებია, ვიდრე აშშ-ისა ან ნატოსი. ირანს ძალიან აშინებს საქართველოს ნატოში შესაძლო ინტეგრაცია.

საქართველოს მიმართ ირანის მოქმედებები

ბოლო წლებში ირანი შეეცადა თავი მნიშვნელოვან რეგიონულ მოთამაშედ წარმოეჩინა და თავის ენერგომატარებლებზე მეზობლების დამოკიდებულება გაეზარდა. ირანისათვის ნავთობი და ბუნებრივი აირი ზენოლის ყველასთვის ცნობილი ინსტრუმენტებია, მაგრამ მისი ელექტროენერჯის წარმოების სექტორის გაფართოება შედარებით ახალი ფენომენია. ირანი უკვე ახორციელებს ელექტროენერჯის ექსპორტს პაკისტანსა და ინდოეთში, ასევე ავღანეთში, სომხეთში, ერაყში, სირიასა და თურქეთში.⁶ ეს პოლიტიკა აძლიერებს ირანის როლს რეგიონში და მას ევროპულ ენერგოპროექტებზე ნაკლებად დამოკიდებულს ხდის.

ჯერჯერობით ირანი არ თამაშობს სერიოზულ როლს სამხრეთ კავკასიის ენერგეტიკის სფეროში. აზერბაიჯანმა შეძლო ირანის მნიშვნელოვანი მეტოქე გამხდარიყო რეგიონში. ერთხელ, საქართველოსთვის ძალიან კრიტიკულ მომენტში, 2006 წლის ზამთარში, ირანმა საქართველოს ბუნებრივი აირი მიჰყიდა, თუმცა საკმაოდ მაღალ ფასად და ეს მხოლოდ ერთეული ეპიზოდი იყო. ირანს მხოლოდ სომხეთთან აქვს „სტაბილური ურთიერთობები“.

სამხრეთ კავკასია-ირანის ურთიერთობებსა და მათ ფორმირებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ რეგიონული კონტექსტი, არამედ რუსეთ-ირანის, აშშ-ირანის, ევროპა-ირანის ურთიერთობები. სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა გარკვეულწილად ამ ურთიერთობების მძევალი გახდა.

ირანს კვლავ აკლია რესურსები იმისათვის, რომ რეგიონის წამყვან ეკონომიკურ აქტორად იქცეს. ირანის სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში ჯერჯერობით უფრო თავდაცვითი და თანამშრომლობითი ხასიათისაა, ვიდრე დამაშინებელი და კონფრონტაციული. როგორც სერგეი მარკედონოვმა 2009 წელს აღნიშნა, „ირანის სტრატეგია კავკასიაში“ სათანადო ყურადღების გარეშეა დატოვებული.⁷

ირანმა თავისი პოლიტიკა რეგიონის მიმართ მხოლოდ ახლახან გაააქტიურა, თუმცა მნიშვნელოვანი შედეგი ჯერ არ მიუღია. „ირანს, როგორც თურქეთს, არ შეუძლია მსხვილი ინვესტიციების დაბანდება და ირანული ეკონომიკის ბოლო 20 წლის სავალალო მდგომარეობა ვერ იქნება ის მოდელი, რომლის გადმოღებასაც კასპიის სახელმწიფოები მოისურვებდნენ“.⁸ ეს ითქვა 1999 წელს, თუმცა ზუსტად შეეფერება ირან-სამხრეთ კავკასიის დღევანდელ ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ირანი ტრადიციულად მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და, როგორც ს. მარკედონოვი აღნიშნავს, „შეიძლება განიხილებოდეს მოსკოვის ოპონენტად საქართველოს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებისადმი მისი მიდგომების გამო. ისლამური რესპუბლიკა არ არის მზად აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა“.⁹ ამის მიზეზები ნათელია – თავად ირანი მრავალეთნიკური სახელმწიფოა, რომელსაც აშინებს სეპარატიზმი.

ხაზი უნდა გაესვას თეირანის ძალიან პრაგმატულ პოლიტიკას რეგიონში, რომელიც განსხვავდება ირანის ხელისუფლების რელიგიური და რადიკალური რიტორიკისგან. ექსპერტების თქმით, ყარაბაღის კონფლიქტში თეირანი ქრისტიანი სომხების მხარეს დგას და არა მუსლიმების, რომლებიც ძირითადად აზერბაიჯანელი შიიტები არიან.¹⁰

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აშშ-ის „გადატვირთვის“ პოლიტიკა რუსეთთან და აშშ-ის სტრატეგიული ინტერესების გადანაცვლება მსოფლიოს სხვა რეგიონებისაკენ სამხრეთ კავკასიის პატარა სახელმწიფოებს, განსაკუთრებით საქართველოს (მისი მკაფიო პროდასავლური პოზიციის გამო!), უბიძგებს იფიქროს ორმხრივი ურთიერთობების უფრო გააქტიურებაზე მეზობლებთან, კერძოდ კი – ირანთან. 2008 წელს ირან-საქართველოს ურთიერთობებში ინციდენტი მოხდა, როდესაც საქართველომ ირანელი მოქალაქე დააკავა და აშშ-ს გადასცა. თეირანმა ეს შეურაცხყოფად და ანტი-ირანულ ქმედებად მიიღო. შედეგად, ირანმა ორ წელიწადზე მეტი ხნით ფაქტობრივად გაყინა ურთიერთობა თბილისთან. ვითარება შეიცვალა და ორმხრივი ურთიერთობები გაუმჯობესდა მხოლოდ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ირანში ვიზიტის შემდეგ, 2010 წლის იანვარში.

საქართველომ სცადა პოზიტიური ნაბიჯების გადადგმა ირანის მიმართულებით; ძირითადად ამისთვის იქნა შემოღებული ირანთან უვიზო მიმოსვლა, ასევე ბათუმში გაიხსნა ირანის საკონსულო.

2010 წლიდან, როდესაც საქართველომ ირანელებისთვის უვიზო რეჟიმი შემოიღო, ირანული ვაჭრობის და ტურიზმის მაჩვენებლები საქართველოში გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა. „იმპორტი 1,590%-ზე მეტით ავიწარდა და 99,4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ირანელი ტურისტების რიცხმა კი საქართველოში 318,38%-ით იმატა და წლიურ 89,170 ტურისტს მიაღწია“.¹¹ საქართველოსა და ირანს შორის ვაჭრობა 118,5 მილიონი დოლარით გაი-

ზარდა 2012 წელს.¹² აბსოლუტურ მაჩვენებლებში ეს ციფრები არ არის მაღალი. მაგალითად, საქართველოს ვაჭრობამ თურქეთთან 2012 წელს 1,3 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოში ირანული ბიზნესის სწრაფი ზრდაც აღინიშნა, მაგრამ მათი წილი 2012 წელს რეგისტრირებული 43,907 ბიზნესის მხოლოდ 3,3%-ს შეადგენს.¹³ 2012 წელს ირანული ინვესტიციები საქართველოში მხოლოდ ნახევარი მილიონი აშშ დოლარი(!) იყო.

მკაცრი საერთაშორისო სანქციების პირობებში ირანი სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევს სამხრეთ კავკასიელ მეზობლებს, ბოლო წლებში კი – საქართველოს. 2010-2013 წლებში ირანმა გააფართოვა ეკონომიკური აქტივობა საქართველოში, რამაც ვაშინგტონის შემფოთება გამოიწვია, რომ ირანი საქართველოს თავისი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიცირებისთვის იყენებს, რათა სანქციების გავლენა შეამციროს.

ზოგან, მედიაში, გამოჩნდა თბილისსა და თეირანს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გადაჭარბებული შეფასებები. აბსოლუტური ციფრების მიხედვით, ირანის ეკონომიკური აქტივობა საქართველოში ჯერჯერობით უმნიშვნელოა, ხოლო ირანის საერთო ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე მინიმალურია.

დასავლურ მედიაში გამოქვეყნებულმა ზოგმა სტატიამ ინტერესი გააღვივა საქართველოში ირანის აქტივობის მიმართ.¹⁴ ვაშინგტონმა შემფოთება გამოთქვა ირანის მცდელობაზე, თავიდან აირიდოს სანქციები. საქართველომ, რომელსაც შეერთებული შტატები ყველაზე მნიშვნელოვან დასავლელ პარტნიორად და უმსხვილეს უცხოელ დონორად მიაჩნია, ირანისგან დისტანცირების ნაბიჯები გადადგა, კერძოდ, 2013 წლის 1 ივლისიდან ირანელი მოქალაქეებისთვის გაუქმდა უვიზო მიმოსვლა.¹⁵ შეინიშნება საქართველოდან ირანელი ბიზნესმენების გასვლა. მოჰამად დავარმა, ქართულ-ირანული ბიზნესთანამშრომლობის ცენტრის ხელმძღვანელმა, მედიას უთხრა, რომ 1,700-მა ირანელმა ბიზნესმენმა უკვე დატოვა საქართველო, ბევრი ირანული ანგარიში გაყინულია საქართველოს ბანკებში, დაიხურა ბევრი ერთობლივი ქართულ-ირანული პროექტი.¹⁶

ირანის რეაქცია უარყოფითი იყო და მან საქართველო დასავლეთის, განსაკუთრებით აშშ-ისა და ისრაელის, მამებლობაში დაადანაშაულა. უდავოა, რომ საქართველოს ქმედებამ უარყოფითად იმოქმედა ირანთან ურთიერთობებზე. კავკასია ის გეოგრაფიული რეგიონია, რომელიც შეიძლება ერთგვარ გეოპოლი-

ტიკურ „ბერმუდის სამკუთხედად“ იქნეს განხილული სამი პატარა ქვეყნისთვის, რომლებიც იქ მდებარეობს. აშშ შორს არის, ევროპა არ არის საკმარისად ძლიერი, ხოლო ირანი, რუსეთი და თურქეთი იქვე არიან.

საქართველოსა და ირანს შორის ბიზნესკონტაქტების გაძლიერება შეიძლება დანახული იყოს, როგორც თბილისსა და თეირანს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების ბუნებრივი პროცესი. ეს ურთიერთობები არასდროს ყოფილა ძალიან მჭიდრო და მიუხედავად ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების ბოლოდროინდელი გააქტიურებისა, პოლიტიკური ურთიერთობები პრაქტიკულად იმავე დონეზე რჩება.

აშშ-ის შეშფოთებას იმის თაობაზე, რომ თეირანი საქართველოს სანქციების თავიდან ასარიდებლად იყენებს, თბილისში გაგებით მოეკიდნენ და საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ იგი „სრულად იცავს გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციებს ირანთან დაკავშირებით, რომლებიც სავალდებულოა გაეროს ყველა წევრი ქვეყნისათვის“.

დაახლოების საკმაოდ დიდი შესაძლებლობები

ბოლო წლებში სულ უფრო მეტი ირანელი ჩამოვიდა საქართველოში, სამწუხაროდ, ირანში წამსვლელი საქართველოს მოქალაქეთა რიცხვი უმნიშვნელოა და უნდა გაიზარდოს.

ირანს ბევრი რამის ჩვენება შეუძლია ქართველი ვიზიტორებისთვის. უდავოა, რომ კულტურული კავშირები ამ ორ ქვეყანას შორის კიდევ უფრო განვითარდება, მაგრამ ეს ვერ მოხერხდება ორ ქვეყანას შორის უფრო აქტიური ეკონომიკური ურთიერთობების გარეშე. ირანი საკმაოდ სერიოზული მეზობელია და საქართველო-ირანის ეკონომიკურმა ურთიერთობებმა შეიძლება უფრო დიდი მასშტაბი მიიღოს.

ცვლილებებმა თეირანში და ირანსა და დასავლეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გარკვეულმა გაუმჯობესებამ შესაძლოა უფრო ხელსაყრელი პირობები შექმნას საქართველო-ირანის ურთიერთობების შემდგომი განვითარებისთვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პოლიტიკა რეგიონში არ ნიშნავს ქვეყნის მიერ საკუთარი სტრატეგიული კურსის – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანების – შეცვლას. უპირველესი მიზანი იგივე რჩება, მაგრამ რეგიონულ მეზობლებთან ურთიერთობების გაუმჯობესება და

განვითარება და რეგიონულ უსაფრთხოებასა და სტაბილურობაში საკუთარი წვლილის შეტანა ირანთან კარგ მეზობლურ ურთიერთობებსაც გულისხმობს.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1 Richard Rousseau, “The Struggle for Influence between Russia, Turkey and Iran in the South Caucasus,” *Europe’s World*, Autumn 2011, #19. იხ.: [www.europesworld.org/NewEnglish/Home_old/Community Posts/tabid/809/post1](http://www.europesworld.org/NewEnglish/Home_old/Community_Posts/tabid/809/post1)
- 2 Thomas de Waal, “Iran’s Relieved Neighbors in the Caucasus,” June 26, 2013. Accessible at: <http://carnegie.ru/eurasiaoutlook?fa=52215>
- 3 Mohammad-Reza Djalili, “Iran and the Caucasus: Maintaining Some Pragmatism,” *The Quarterly Journal*, 1, #3, 2002, გვ. 51.
- 4 Kornely K. Kakachia, “Iran and Georgia: Genuine Partnership or Marriage of Convenience?,” *PONARS Eurasia Policy Memo* #186, September 2011, გვ. 2.
- 5 F. Stephen Larrabee, Alireza Nader, “Turkish-Iranian Relations in a Changing Middle East,” RAND, Santa Monica, 2013, გვ. 21.
- 6 Shabnam Mirsaedi-Glossner, “Iran’s Flourishing Regional Influence,” *Science and Diplomacy*, July 15, 2013. Accessible at: www.sciencediplomacy.org/print/119
- 7 Sergei Markedonov, “The Caucasus Approaches of Iran: Main Priorities and Challenges,” August 5, 2013. Accessible at: www.rius.gr/research-areas/global-issues/middle-east-studies/995-the-caucasus-a
- 8 Richard Sokolsky, Taya Charlick-Paley, “NATO and Caspian Security: A Mission too Far?,” RAND, Santa Monica, 1999, p. 48.
- 9 Sergey Markedonov, “The Realists in Tehran,” *National Interest*, May 4, 2012. Accessible at: <http://nationalinterest.org/print/commentary/the-realists-tehran-6878> 8/5/2012
- 10 Brenda Shaffer, Introduction: The Limits of Culture in *The Limits of Culture: Islam and Foreign Policy*, Brenda Shaffer (Editor), Cambridge, 2006, pp. 16-17 and Brenda Shaffer, “The Islamic Republic of Iran: Is It Really?” in *The Limits of Culture: Islam and Foreign Policy*, Brenda Shaffer (Editor), Cambridge, 2006, pp. 229-234.
- 11 Molly Corso, “Georgia: Is Tehran Trying to Use Tbilisi to Evade Sanctions?,” *Eurasianet*, July 15, 2013. Accessible at: www.eurasianet.org/print/67253 8/16/2013
- 12 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2013.

13 Molly Corso, დასახ. ნაშრ.

14 Iran, Georgia: Washington Worries about Warming Ties between Tehran and US Ally,” *Los Angeles Times*, November 5, 2010; Benoit Faucon, Jay Solomon, Farnaz Fassihi, “As Sanctions Bite, Iranians Invest Big in Georgia,” *Wall Street Journal*, June 20, 2013.

15 2013 წლის 1 ივლისიდან საქართველოს მთავრობამ ცალმხრივად გააუქმა 45-დღიანი უვიზო მიმოსვლის წესები ირანთან, რომელიც 2011 წლის 1 იანვრიდან მოქმედებდა.

16 Михаил Вигнанский, “Иранские бизнесмены бегут из Грузии,” *Известия*, April 10, 2013.